

კირილე მაჭარაძე

მსახიობი და დრამატურგი, თეატრის ნიჭიერი შემოქმედი... დაიბადა 1886 წ. 21 ოქტომბერს სოფელ ივანდიში, მღვდლის ოჯახში. დაწყებითი განათლება ხონის (წულუკიძე) ორკლასიან სკოლაში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგაც ჩაირიცხა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ 1906 წელს სასწავლებლიდან 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის. ამის შემდეგ თბილისში გაემგზავრა და რადგან ხატვა და ხაზვა კარგად ეხერხებოდა კერძო სამხატვრო სასწავლებელში მოეწყო, სადაც დაახლოებით ორი წელი ისწავლა, მაგრამ აღნიშნული სასწავლებელი მალე დახურეს. ბოლოს გამოცდები ჩააბარა სახალხო სკოლის მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად. რამდენიმე წელი მსახურობდა მასწავლებლად, მაგრამ ამ გზას არ გაყოლია, ვინაიდან ბავშვობიდანვე უყვარდა და გატაცებული იყო ქართული სცენით.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს, იმის გამო რომ ბავშვებს უკრძალავდნენ, რამდენჯერ გადაცემული შესულა ამხანაგებთან ერთად თეატრში ქართული წარმოდგენის სანახავად. არდადეგების დროს იკრიბებოდნენ ახალგაზრდები და თვითონვე მართავდნენ წარმოდგენებს სხვადასხვა უბნებსა და სოფლებში. სწორედ აქედან იწყებს მუშაობას ქართულ სცენაზე ჯერ, როგორც სცენისმოყვარე, შემდეგ კი პროფესიონალი მსახიობი.

პირველად 1904 წ. გამოვიდა სცენაზე, ხონის სცენისმოყვარეთა წრის წარმოდგენაში და ამის შემდეგ 1909 წლამდე ხშირად დებულობდა მონაწილეობას იმავე დრამატული წრის სხვა წარმოდგენებში. ძალიან რთული იყო იმ პერიოდში ქართულ სცენაზე მუშაობა. საერთოდ არ ჰქონდათ პირობები წარმოდგენის დასადგმელად. ხელისუფლება სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა, საერთოდ ხალხის თავშეყრას ერიდებოდა. ამიტომაც უნებართვოდ მართავდნენ წარმოდგენებს. ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა კირილე მაჭარაძეს. დაუზარებლად მოღვაწეობდა ამ საზოგადო საქმეში და დიდი სიყვარულით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. წარმოდგენებიდან შემოსული ფული მეტწილად საქველმოქმედო მიზნებში იხარჯებოდა.

1909 წ. მიიწვიეს მსახიობად ქუთაისის თეატრში, რომლის ხელმძღვანელიც იყო იმხანად ვ. გუნია და იქ იმუშავა 1913 წლამდე. ერთი სეზონი (1913–1914 წ.წ.) ჭიათურის თეატრში მუშაობა. 1914 წ. მსოფლიო ომთან დაკავშირებით გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც მსახურობდა 3 წელი. 1918 წელს ისევ ქუთაისის თეატრს დაუბრუნდა.

1919–1920 წლებში მსახურობდა ფოთში და იქ მეთაურობა წარმოდგენების მართვის საქმეს. ამასთანავე განაგრძობდა მსახიობობას. 1921–1930 წ.წ. მუშაობდა მსახიობად ბათუმის თეატრში და ამავე დროს იყო თეატრის ადმინისტრატორიც. 1930 წ. მიიწვიეს მსახიობად თბილისის კინოწარმოებაში და იმუშავა 1950 წლამდე. გარდა მსახიობობისა კინოსტუდიაში პარალელურად ეკავა სხვადასხვა თანამდებობა: იყო რამდენიმე ფილმის დამდგმელი ჯგუფის დირექტორი, კინომსახიობთა და დასის ხელმძღვანელი და სხვ. 1943–45 წლებში შეთავსებით იყო მსახიობად თბილისის სანკულტურის თეატრში.

ასრულებდა სახასიათო და გმირთა როლებს: სიმონ ლიონიძე – დ. ერისთავის „სამშობლო“, გელა – ა. წერეთლის „პატარა კახი“, მაზრის უფროსი – შ. დადიანის „გუშინდელი“, ალექსანდრე – ვ. შალიკაშვილის „უნიადგონი“, ქურუმი – სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და სხვ.

მიიღო მონაწილეობა მთელრიგ კინოფილმების გადაღებაში და შეასრულა შემდეგი როლები: ჰასანი – „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, თავადი ირმელი – „ნახვამდის“, ნესტორი – „გაყრა“, კოლმეურნეობის თავმჯდომარე – „დაკარგული სამოთხე“, პროფესორი ხელაშვილი – „ცანის ხეობის საუნჯე“ და სხვ.

დაწერა, გადმოაკეთა და თარგმნა 30 სხვადასხვა ჟანრის პიესა: „ჩხრეკა“ – პიესა 3 მოქმედებად, „კუპეში“ – კომედია 1 მოქმედებად, „შემთხვევა აგარაკზე“ – პიესა 4 მოქმედებად (თანაავტორი ი. არაყიშვილი), „გოგია უიშვილი“ – დრამა 3 მოქმედებად (გადმოკეთებული ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან) და სხვ. მისი ორიგინალური, გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესები დაიდგა სხვადასხვა თეატრში. ასევე თარგმნა 50-მდე მხატვრული ფილმის ტექსტი: „მოსკოვზე დაშორებით“, „დონელი შახტიორები“, „მეფის მკვდარი ასული და შვიდი გმირი“, „ყვითელი ყარყატი“, „თეთრად ფრიალებს

აფრა ეული“, „სადკო“, „ადმირალი უშაკოვი“ – I სერია, „გემები იერიშით მიდიან ბასტიონზე“ – II სერია, „ერთგულების გამოცდა“, „მღელვარე ახალგაზრდობა“ და სხვ.

1945 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება. დაჯილდოებულია მედალით „შრომითი მამაცობისათვის“ 1948 წ. ვალმოხდილი მსახიობი 1967 წ. 19 ნოემბერს გარდაიცვალა.

კირილე მაჭარაძის პირადი საარქივო ფონდი ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. კირილე მაჭარაძის „ჩემი ავტობიოგრაფია“. 1938 წ. 2 ივნისი. თბილისი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კ. მაჭარაძე და დ. ჯანელიძე. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.
2. კირილე მაჭარაძის დახასიათება (ცნობა) დაწერილი ალექსანდრე იმედაშვილის მიერ. 1938 წ. 2 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: ალ. იმედაშვილი. მელანი. 1 გვ.
3. კირილე მაჭარაძის დახასიათება დაწერილი მ. ქორელის მიერ. 1938 წ. 2 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: მ. ქორელი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
4. კირილე მაჭარაძის დახასიათება დაწერილი აკაკი ხორავას მიერ. 1938 წ. 3 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: აკ. ხორავა. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
5. კირილე მაჭარაძის დახასიათება გაცემული საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა დადიანის მიერ. 1938 წ. 3 ივნისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: შ. დადიანი. მელანი. 1 გვ.
6. კირილე მაჭარაძის დახასიათება დაწერილი ნინო ჩხეიძის მიერ. 1938 წ. 3 ივნისი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: ნ. ჩხეიძე. 1 გვ.
7. კირილე მაჭარაძის დახასიათება გაცემული აკაკი ვასაძის მიერ. 1938 წ. 7 ივნისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: აკ. ვასაძე. მელანი. 1 გვ.
8. კირილე მაჭარაძის დახასიათება დაწერილი მიხეილ ჭიაურელის მიერ. 1938 წ. 8 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: მ. ჭიაურელი. 1 გვ.
9. კირილე მაჭარაძის შრომის წიგნაკი. 1939 წ. 11 იანვარი. დასტამბული, შევსებული ხელნაწერით. ხელს აწერს: კადრების განყოფილების უფროსი – ლორთქიფანიძე და კ. მაჭარაძე. მწვანე და ლურჯი მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. 31 გვ.
10. კირილე მაჭარაძის ავტობიოგრაფია. პირი: ერასტი მაჭარაძე, ნიკო გვარაძე, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, ლ. დოღობერიძე, შ. ხონელი, ქ. გორდელი, ი. აბტალიდი, დ. ამაშუკელი, მ. ქორელი, კონსტ. ანდრონიკაშვილი, თინა ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ა. ფაღავა, ნიკო გოძიაშვილი, ნ. გამრეკელი–თორელი. 1952 წ. 14 იანვარი. თბილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: კ. მაჭარაძე. ორი ვარიანტი. მელანი. 8 გვ.
11. კირილე მაჭარაძის განცხადება სათეატრო მუზეუმის დირექტორისადმი. ითხოვს ცნობას თეატრებსა და კინოსტუდიაში მოღვაწეობის პერიოდის შესახებ. 1956 წ. 25 დეკემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერს: კ. მაჭარაძე. მელანი. 1 გვ.
12. სათეატრო მუზეუმის დირექტორ გ. ბუხნიკაშვილის მიერ გაცემული ცნობა კირილე მაჭარაძისადმი, თეატრებსა და კინოსტუდიაში მოღვაწეობის პერიოდის შესახებ. 1956 წ. 25 დეკემბერი. ნაბეჭდი. ახლავს კ. მაჭარაძის მინაწერი და ხელმოწერა. 1 გვ.
13. კირილე მაჭარაძის „ჩემი ავტობიოგრაფია და ზოგადი მოგონებანი“. პირი: ლადო მესხიშვილი, ივანე ნატყეპია, შალვა ნუცუბიძე, გიგუცი გაგუა, დათიკო გაგუა, ვ. ქუთათელაძე, ვ. აბაშიძე, დ. ლორთქიფანიძე, ვ. კეთილაძე, შ. ხონელი (გოგოლაშვილი), ი. მამფორია, მ. რატიანი, ალ. ბახტაძე, კ. კაკაბაძე, დ. მებუკე (ცვარნამი), გ. ქუთათელაძე, ნ. ბახტაძე, პ. გეგეჭკორი, ა. ჭავჭავანიძე, მ. ქუთათელაძე, ლ. ჩხენკელი, ლ. დოღობერიძე, ლ. გალდავაძე, მ. ბალანჩივაძე, ბ. აბაშიძე, ვ. კეთილაძე, ივანე შარაშიძე, ვარლამ შავდია, მიხაკო მებუკე, რაულენ წივწივაძე, გეგეჭკორი, სვეერიანე ჩხენკელი, აქვსენტი ფაღავა, გოგიტა ფაღავა, ა. ყალაბეგიშვილი, სიმონა ელიგულაშვილი, ილია მამფორია, დავით

კაკაბაძე, ა. იანგომ, დ. ამაშუკელი, ქ. გორდელაძე, ს. ჭელიძე, მ. ქორელი, ვაჟა-ფშაველა, მარო მდივანი, იოსებ იმედაშვილი, ნუცა ნორაკიძე, თამარა ჯიჯეიშვილი, სევერიანე მუავანაძე, სტეფანე ხარაზიშვილი, აქვსენტი ცხადია, თინა ჩარკვიანი, კუპრავა, ბერსენიევი, მაროზოვი, კახალოვი, სანდრო კორძია. 1966 წ. ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კ. მაჭარაძე. 29 გვ.

14. კირილე მაჭარაძის დახასიათება და შემოქმედების შეფასება გაცემული კინოსტუდიის დირექტორ კვესელავას მიერ. უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კვესელავა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

15. ბათუმის რკინი გზის კლუბთან არსებული დრამატული წრის ადრესი კირილე მაჭარაძისადმი. ულოცავენ სასცენო მოღვაწეობის 20 წლის იუბილეს. 1928 წ. 29 მარტი. ბათომი (ბათუმი). ხელნაწერი. ხელს აწერს: ხორავა, კაშია, გუგუშვილი. მხატვრულად გაფორმებული. მელანი. 1 გვ.

16. კირილე მაჭარაძის მიერ თარგმნილი ფილმების სია. 1956 წ. 15 ნოემბერი. ხელნაწერი. ხელს აწერს: კ. მაჭარაძე. მელანი. 2 გვ.

17. კირილე მაჭარაძის მიერ შესრულებული როლების, თარგმნილი და ორიგინალური პიესების სია. უთარილო. ხელნაწერი. ხელს აწერს: კ. მაჭარაძე. მელანი. 3 გვ.